საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-162

ქ. თბილისი

02/02/2021

„შპს „სანიტარი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის №817 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2020 წლის 30 დეკემბერს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „სანიტარმა“ და ითხოვა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2007 წლის 20 ივნისის №17 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2007 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „სანიტარის“ ბთჯ მილსადენის მომსახურების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციაზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №17; 20.06.2007) და №00078 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

განცხადების თანახმად, კომპანიამ აღნიშნულ ტერიტორიაზე შეწყვიტა ოპერირება. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა ითხოვა სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „სანიტარის“ განცხადების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „სანიტარი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის №817 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სანიტარს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სანიტარის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი